ჭეშმარიტად, ალლაჰი უვადებს უსამართლოს მანამ, სანამ არ დასჯის და შემდეგ მას ვერაფერი გადაარჩენს

აბუ მუსა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ჭეშმარიტად, ალლაჰი უვადებს უსამართლოს მანამ, სანამ არ დასჯის და შემდეგ მას ვერაფერი გადაარჩენს» თქვა: შემდეგ წაიკითხა: «ამგვარად შეიპყრობს შენი ღმერთი სოფლებს, როცა იპყრობს მაშინ, როცა უსამართლონი არიან. ჭეშმარიტად, მისი შეპყრობა მწარე, მრისხანეა!» [ჰუდ : 102]

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აფრთხილებს უსამართლობაში შეუპოვრობისგან და ცოდვების, შირქის, ადამიანების უფლებების უსამართლოდ დარღვევისგან, რადგან უზენაესი ალლაჰი აცდის და უვადებს უსამართლოს, აძლევას მას ქონებას და ხანგრძლივ სიცოცხლეს და არ ჩქარობს მის დასჯას. და თუ ის არ მოინანიებს, ალლაჰი შეიპყრობს მას, არ გაათავისუფლებს და არ დატოვებს მას მისი უამრავი უსამართლობის გამო. შემდეგ მოციქულმა(ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) წაიითხა შემდეგი აიათი: «ამგვარად შეიპყრობს შენი ღმერთი სოფლებს, როცა იპყრობს მაშინ, როცა უსამართლონი არიან. ჭეშმარიტად, მისი შეპყრობა მწარე, მრისხანეა!» [ჰუდ:102]

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/5811